<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 239-ე მუხლის 4^4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^4. ამ კოდექსის 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 51-ე მუხლით, 51^1 მუხლის პირველი ნაწილით, 51^2 და 51^4–52-ე მუხლებით, 53^1 მუხლის პირველი ნაწილით, 53^2, 54-ე, 54^1 და 55^1 მუხლებით, 554 მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1, 58^3, მე-60, 60^3, 61-ე, 63-ე და 63^1 მუხლებით, 64^1 მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე, 66-ე, 66^1 და 67-ე მუხლებით, 68-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 721 მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე, 74-ე, 76-ე და 85^1–85^5 მუხლებით, 86-ე მუხლის პირველი–მე-9 და მე-13–21-ე ნაწილებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით, 89^3 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 104-ე და 128^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია, არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, ატენისა და თეძამის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე - გორის მუნიციპალიტეტის მერია, ან ადგენენ მათ მიერ უფლებამოსილი პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონპროექტი წარმოადგენს საკანონმდებლო პაკეტის შემადგენელ ნაწილს და მისი მომზადების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „ატენისა და თეძამის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონპროექტით, იქმნება ახალი დაცული ტერიტორია - ატენისა და თეძამის დაცული ლანდშაფტი, რომლის მართვას განახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის მერია. შესაბამისად, აღნიშნულ მუნიციპალიტეტს (სხვა მუნიციპალიტეტების (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დუშეთის მუნიციპალიტეტი) მსგავსად, უნდა მიენიჭოს უფლება, მის მართვაში არსებულ დაცულ ტერიტორაზე - ატენის და თეძამის დაცულ ლანდშაფტში განახორციელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირება (შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები).

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ სუბიექტებს განსაზღვრავს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიენიჭოს აღნიშნული უფლებამოსილება, საჭიროა შესაბამისი ცვლილება შევიდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექში".

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიენიჭება უფლება, „ატენისა და თეძამის დაცული ლანდშაფტის" ტერიტორიაზე, განახორციელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ ქმედებებზე რეაგირება (შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები).

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კოდექსის 239-ე მუხლის (ადმინისტრაციუალი სამართალდარღვევისდ ოქმი) 4^4 ნაწილი ყალიბდება ახალი რედაქციით. ამ ნაწილში განსაზღვრულია კოდექსის კონკრეტული მუხლები (სამართალდარღვევები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის დაცვის სფეროში), რომლებზეც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს, ადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია (თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე), ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია (თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე) და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია (არაგვის დაცული ლანდშაფტის

ტერიტორიაზე) ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები. აღნიშნულ ნაწილს ემატება ნორმა, რომლის მიხედვითაც, ამ ნაწილით განსაზღვრული მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, ატენისა და თეძამის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე, შეადგენს გორის მუნიციპალიტეტის მერია (ან მის მიერ უფლებამოსილი პირები).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შესვლა გათვალისწინებულია საკანონმდებლო პაკეტის ძირითადი კანონპროექტის („ატენისა და თეძამის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“) ძალაში შესვნის თარიღის მიხედვით - 2022 წლის 1 იანვრიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი).

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შედეგად გარკვეულწილად გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, რადგან კანონპროექტის მიხედვით, გორის მუნიციპალიტეტის მერია განახორციელებს ატენისა და თეძამის დაცული ლანდშაფტების ტერიტორიებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსით განსაზღვრულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ჯარიმის სახით დაკისრებული და შემდგომ ამოღებული თანხები მიმართული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში. შემოსულობის ოდენობა დამოკიდებული იქნება ჩადენილი სამართალდარღვევების რაოდენობაზე და დაკისრებული ჯარიმების რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კანონპროექტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდება არსებული რესურსების ფარგალებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდბეულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი ფინანსურ გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც ატენისა და თეძამის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ჩაიდენენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, კანონპროექტით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლების მიხედვით. მათ სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაეკისრებათ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ჯარიმა. გავლენის ზომა დამოკიდებული იქნება გამოვლენილ სამართალდარღვევათა და ჯარიმის ოდენობებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროეტის გავლენის შეფასება;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს

შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.